შპს „მაქსი სტუდიო“

ქ. თბილისი, ტოლსტოის ქ. №19, ტელ. 295-16-00

10 ნოემბერი 2017წ. №3-35

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, აეროდრომის დასახლება ქუჩა IV, №5,№5ა-ში (ნაკვ. №01.19.36.004.091) მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

საპროექტო ნაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორია ქანობიანია, აღმოსავლეთისკენ დახრით.

ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია პროექტის არქიტექტურული ნაწილი და კონსტრუქციული ნაწილი ალბომის სახით.

პროექტის ავტორები, არქიტ. – გ. მეგრელიშვილი

პროექტის კონსტრუქტორი: – მ. მექვაბიშვილი

შენობის მზიდი კონსტრუქციების გაანგარიშება ჩატარებულია კომპიუტერული საინჟინრო-საანგარიშო პროგრამა ”ლირა 9.6” გამოყენებით.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ფუძე გრუნტი წარმოადგენს თიხნარს საანგარიშო წინაღობით R_0=2.5 კგძ/სმ².

შენობა წარმოადგენს თორთმეტსართულიან შენობას, სარდაფის სართულით.

მაქსიმალური ზომებით გეგმაში 22.2X39.3მ, სართულის სიმაღლე h= 2.75მ, 2.75მ, 3.15მ შენობის სიმაღლით h=40.25მ. (0.00 ნიშნულიდან)

კონსტრუქციული ელემენტები:

საძირკვლები – შენობა დაფუძნებულია მონ. რკ/ბ. საძირკვლის ფილაზე

სარდაფის კედლები და დიაფრაგმები – მონ. რკ/ბ.

მზიდი კონსტრუქცია – მონ. რკ/ბ. კარკასი, სვეტები კვეთით - სწორკუთხა 80X50, 80X40, 60X40სმ, 40X40სმ, კოჭები კვეთით – 40X50სმ., 30X40სმ.

სართულშუა გადახურვები – მონ. რკ.ბ. ფილები.

შემომფარგვლელი კედლები – წვრილი პემზაბეტონის ბლოკების წყობა კარკასის შემავსებლად.

კიბე – მონ. რკ/ბ. ფილაზე ბეტონის საფეხურები.

სახურავი – ბრტყელი, რუბეროიდი ბიტუმის მასტიკაზე.

გამოყენებული ბეტონის მარკა – B25.

წინასაპროექტო მონაცემები:

სამშენებლო მოედნის სეისმურობა – 8 ბალი

ქარის ნორმატიული დაწნევა – 85 კგ.ძ/მ².

თოვლის საფარის წონა – 50 კგ.ძ/მ².

არქიტექტურული ნიშნული ±0.00 შეესაბამება აბსოლუტურ ნიშნულს 463.30.

<u>დასკვნა</u>

პროექტი დამუშავებულია საკმარისი მოცულობით, სეისმური და სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით, როგორც საანგარიშო, ისე გრაფიკულ ნაწილში. პროექტის კონსტრუქციული გადაწყვეტები დამყარებულია პრაქტიკაში მიღებულ გადაწყვეტილებებზე და არ არის გამოყენებული რაიმე ინოვაციური იდეები. გრაფიკული ნაწილი კარგად არის შესრულებული და არ გამოიწვევს ზედმეტ შეკითხვებს მშენებლობის პროცესში. თუმცა პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მიმართ გაგვაჩნია შენიშვნა, რომელიც ატარებს უფრო სურვილის ხასიათს:

1. შენობის საანგარიშო მოდელის დროებითი ხანმოკლე დატვირთვების განსაზღვრისას არ არის გამოყენებული მათი სიდიდეების შემამცირებელი კოეფიციენტები СниП 2.01.07.85 Нагрузки и воздеиствия-ს 3,8 პუნქტის მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის ავტორის მიერ აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინება ან არ გათვალისწინება არ ცვლის ექსპერტის წარმოდგენას პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე, რაც ცალსახად დადებითია.

ექსპერტი,
ინჟ.კონსტრუქტორი /ნ. კაციტაძე/

MAXI STUDIO
GEORGIA. "MAXI STUDIO" LTD
204556211

მე ნინო კაციტაძე 1990 წლიდან ვასრულებ საპროექტო სამუშაოებს, 2008 წლიდან ვარ შ.პ.ს. "მაქსი სტუდიო"-ს დირექტორი, სადაც ვარ პროექტის მთავარი კონსტრუქტორი და ვასრულებ საპროექტო სამუშაოებს, ასევე მიწვევით ვთანამშრომლობ შ.პ.ს. "პროექტ"-თან, შ.პ.ს. "თბილქალაქპროექტთან"- თან; შ.პ.ს. "არქ-სტუდიოსთან", შ.პ.ს. "აკო"-სთან.

ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტების პროექტები:

— მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისი, მთაწმინდა-კრწანისის რ-ნი, კრწანისის ქ. №21.

— მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, სანდრო ეულის ქ. №5

— მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისი, მთაწმინდა-კრწანისის რ-ნი, რჩეულიშვილის ქ.№11

— მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, უნივერსიტეტის ქუჩა

— ქ. თბილისში, ვახუშტის ხიდიდან გ. სააკაძის მოედნისკენ მიმავალ გზაზე მდებარე №16/77 მიწის ნაკვეთზე საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა.

— სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ობიექტი ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი, თემქის III მ/რ, V კვ.

— ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ვახუშტის ხიდიდან სააკაძის მოედნისკენ მიმავალ გზაზე ნაკვ 16/054 სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ობიექტი.

— გლდანის რაიონში, ვასაძის ქუჩაზე მრავალსართულიანი სახლი

და სხვა.

შ.პ.ს. "მაქსი სტუდიო"-ს

დირექტორი: ნ. კაციტაძე/

სარეგისტრაციო № 4198

საქართველო

დიპლომი ფა № 003157

მიეცა ნინო ჯემალის ასულ
ქაჯაიაძეს
მასზე, რომ ის 1989 წელს შევიდა საქართველოს
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1995 წელს დაამთავრა საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის
სრული კურსი
„სამრეწველო და სამოქალაქო
მშენებლობის" სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1995 წლის
„28" ივნისის გადაწყვეტილებით
ნ.ჯ. ქაჯაიაძეს მიენიჭა ინჟინერ-
მშენებლის
კვალიფიკაცია.

Republic of Georgia, Georgian technical university

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი „23" VII 1996 წ.

МПФ Гознака. 1995.

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 380733
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B11151739
ამონაწერის მომზადების თარიღი: 20/10/2011 10:03:42

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს მაქსი სტუდიო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონი, ტოლსტოის ქ., №19
საიდენტიფიკაციო კოდი:	204556211
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	09/06/2008
მარეგისტრირებელი ორგანო:	თბილისის საგადასახადო ინსპექცია
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01001027149, ნინო კაციტაძე,
  დირექტორი, ,

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01001027149, ნინო კაციტაძე,	100.00000000%	204556211-SH-00001

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა**102010173621 21/11/2010 17:30:00**
  შპს მაქსი სტუდიო ს/ნ 204556211
  საგანი: **მთელი ქონება, მთელი ქონება**
  საფუძველი: **შეტყობინება, N0055245, 21.11.2010, თბილისის რეგიონული**

ცენტრი "ძველი თბილისის" გ-ბა

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

ხელშეკრულება № 3-35

დაკვეთა № 3-35/2017
08.11.17წ

ერთის მხრივ შ.პ.ს. ”ბაუსტარ მს”-ს დირ-რი: ლაშა ჭინჭარაულის სახით, შემდგომში წოდებული როგორც ”დამკვეთი” და მეორეს მხრივ შ.პ.ს. ”მაქსი სტუდიო” მისი დირექტორის ნ. კაციტაძის სახით, შემდგომში წოდებული როგორც ”შემსრულებელი”, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ”შემსრულებელი” იღებს ვალდებულებას შეუსრულოს ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, აეროდრომის დასახლება ქუჩა IV, №5-ში (ნაკვ. №01.19.36.004.045) მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე საექსპერტო დასკვნა.

1.2. შემსრულებელი აცხადებს რომ გააჩნია ყველა აუცილებელი ნებართვა, ხოლო მის თამნამშრომლებს კვალიფიკაცია საპროექტო სამუშაოების განსახორციელებლად და ის უზრუნველყოფს პროექტის მაღალხარისხიან შესრულებას და მის შესაბამისობას კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

2. მხარეთა ვალდებულებანი

2.1. დამკვეთი ვალდებულია ამ ხელშეკრუელბის 3.1 პუნქტით შეთანხმებულ ვადაში მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან

2.2 შემსწრულებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, სამუშაოს ჩაბარების გრაფიკის მიხედვით:

სამუშაოს ჩაბარების გრაფიკი

პროდუქციის სახეობა	დაწყება	დამთავრება	სრული ეტაპის ფასი
ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, აეროდრომის დასახლება ქუჩა IV, №5-ში (ნაკვ. №01.19.36.004.045) მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე საექსპერტო დასკვნა.	08.11.2017წ	10.11.2017წ	300(სამასი)ლარი

2.3 შემსრულებლის მიერ ამ ხელშეკრულების 2.2 პუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება

2.4. ამ ხელშეკრულებიტ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.5 მხარეები თავისუფლდებიან ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ფორსმაჟორული პირობების დადგომისას

3. ანგარიშსწორება

3.1.მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებდეს გადარიცხვით ერთ ეტაპად:
300(სამასი)ლარი გადაიხდება ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი საბანკო დღის ვადაში.
3.2ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 300(სამასი)ლარს.
3.3. "შემსრულებლის" მიერ ხელშეკრულების 2.2. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სახელშეკრულებო ღირებულება მცირდება ყოველ დაგვიანებულ დღეზე 0,5%-ით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელისმოწერის მომენტიდან და გრძელდება დამკვეთის მიერ სამუშაოს საბოლოოო ანაზღაურებამდე.
4.2. მხარეთა შორის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს
ა) ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, რის შესახებაც მხარემ უნდა აცნობოს მეორე მხარეს არაუგვიანეს 7 დღისა.
ბ) ამ ხელშეკრულების 2.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში
4.3. მხარეთა შორის სადავო საკითხების წარმოშობის შემთხვევაში დავა რეგულირდება ურთიერთმოლაპარაკებით, ხოლო თუ ურთიერთმოლაპარაკებისას შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. დამატებითი პირობები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

6. მხარეთა რეკვიზიტები

დამკვეთი:

შ.პ.ს. "ბაუსტარ მს"-ს დირ-რი: ლ. ჭინჭარაული
"შემსრულებელი"

შ.პ.ს. "მაქსი სტუდიო" ქ. თბილისი, ტოლსტოის №19, სს "თიბისი ბანკი", საბანკო კოდი TBCBGE22, ა/ა GE90TB7866436050100002, ს/კ №204556211

შ.პ.ს. "მაქსი სტუდიოს"-ს დირ-რი: ნ. კაციტაძე

ა ქ ტ ი № 3–35

სამეცნიერო ტექნიკურ პროდუქციაზე მიღება-ჩაბარების

ხელშეკრულება № 3–35 შედგენილია 08.11.2017წ.

ობიექტი:

ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, აეროდრომის დასახლება ქუჩა IV, №5-ში (ნაკვ. №01.19.36.004.045) მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე საექსპერტო დასკვნა.

ჩვენ, ხელისმომწერნი, ერთის მხრივ შემსრულებლის წარმომადგენელი შ.პ.ს. "მაქსი სტუდიო"-ს დირექტორი ნ. კაციტაძე და მეორეს მხრივ შ.პ.ს. "ბაუსტარ მს"-ს დირ-რი: ლაშა ჭინჭარაულის სახით შევადგინეთ აქტი მასზედ, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია აკმაყოფილებს ხელშეკრულების პირობებს.

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს – 300(სამასი)ლარს

"შემსრულებელი"

შ.პ.ს. "მაქსი სტუდიო"-ს დირ-რი:

ნ. კაციტაძე

"შემსყიდველი"

შ.პ.ს. "ბაუსტარ მს"-ს დირ-რი:

ლ. ჭინჭარაული